

საქართველოში ძალაშია 1998 წლის 8 აპრილიდან

საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის  
1997 წლის 28 მაისის N 733 დადგენილებით

**1971 წლის 21 თებერვალი**  
**კონვენცია**  
**ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე**  
**(გაერო)**

გაეროს-ს კონფერენციის დასკვნითი აქტი ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ ოქმის მისაღებად, ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ აქტის მისაღებად გაერო-ს კონფერენციის მიერ დამტკიცებული დასკვნითი აქტითა და რეზოლუციებით თანდართული და ნივთიერებათა სიით, რომელიც აღნიშნულ კონვენციას თან ერთვის.

**გაეროს-ს კონფერენციის დასკვნითი აქტი ფსიქოტროპულ ნივთიერებათა  
თაობაზე ოქმის მისაღებად**

1. გაერო-ს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ, გაერო-ს წესდების 62 მუხლის IV პუნქტის თანახმად და გენერალური ასამბლეის 3.XII.1949 წლის რეზოლუციის დებულებების მიხედვით 366(IV), დაადგინა 1474 (XL VIII) რეზოლუციის მიხედვით, მოწვეულ იქნეს სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ ოქმის მისაღებად.

2. გაერო-ს კონფერენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ ოქმის მისაღებად მიმდინარეობდა ვენაში 1971 წლის 11 იანვრიდან 21 თებერვლამდე.

3. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 71 სახელმწიფო თავისი წარმომადგენლების სახით.

ავსტრალია	კონგო (დემ. რესპ.)	შვედეთი
ავსტრალია	კორეის რესპ.	ეკვადორი
ალჟირი	კოსტა-რიკა	იუგოსლავია
არგენტინა	ლიბერია	სამხრ. აფრიკა
ბელორუსიის საბჭოთა	ლივანი	იაპონია
სოც. რესპუბლიკა	ლუქსემბურგი	
ბელგია	მექსიკა	
ბირმა	მონაკო	
ბულგარეთი	ნიდერლანდები	
ბრაზილია	ნიკარაგუა	

ვატიკანი	ახალი ზელანდია
უნგრეთი	ნორვეგია
ვენესუელა	არაბეთის გაერთიან.
გაბონი	რესპუბლიკა
გაიანა	პაკისტანი
განა	პანამა
გვატემალა	პარაგვაი
გონდურასი	პოლონეთი
საბერძნეთი	პორტუგალია
დანია	რუანდა
დომინიკის	სალვადორი
რესპუბლიკა	სან-მარინო
ისრაელი	დიდი ბრიტანეთი
ინდოეთი	აშშ
ირლანდია	სსრკ
ერაყი	ტაილანდი
ირანი	ტოგო
ესპანეთი	ტრინიდადი
იტალია	და ტობაგო
კამერუნი	ტუნისი
კანადა	საფრანგეთი
ჩინეთი	ჩილე
კოლუმბია	შვეიცარია

## კონვენცია ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა თაობაზე

### პრეამბულა

#### მხარეები

ზრუნავენ კაცობრიობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე შეშფოთებით აღიარებენ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხებში პრობლემების არსებობას რომლებიც წარმოიშვა ზოგიერთი ფსიქოტროპული ნივთიერების ბოროტად გამოყენების გამო,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აღკვეთონ ასეთი ნივთიერებების ბოროტად გამოყენება და მათი უკანონო ბრუნვა, რასაც ისინი აპირობებენ და აწარმოონ მასთან ბრძოლა.

თვლიან რა, რომ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება, რათა ასეთი ნივთიერებების გამოყენება კანონიერი მიზნით შეზღუდული იყოს.

თვლიან რა, რომ ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა გამოყენება სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის საჭიროა, და რომ ისინი ასეთი გამოყენებისათვის მისაწვდომი უნდა იყვნენ,

თვლიან რა, რომ ასეთი ნივთიერებების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო ზომების ეფექტურობისათვის ისინი უნდა იყონ კოორდინირებული და უნივერსალური;

აღიარებენ რა გაერო-ს კომპეტენციას ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ კონტროლის საქმეში და სურვილი აქვთ, რომ დაინტერესებული საერთაშორისო ორგანოები შევიდნენ ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში,

თვლიან რა, რომ ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია საერთაშორისო კონვენცია,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## **მუხლი 1** **ტერმინების გამოყენება**

თუ სხვა არ არის მითითებული, ან კონტექსტი არ მოითხოვს სხვას, კონვენციაში მოხსენებულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობა აქვთ:

a) “საბჭო” ნიშნავს გაერო-ს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს.  
b) “კომისია” ნიშნავს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს კომისიას ნარკოტიკულ საშუალებებზე.

c) “კომიტეტი” ნიშნავს საერთაშორისო კომიტეტის ნარკოტიკებისადმი კონტროლის მიმართ, რომელიც ნაგულისხმევია ერთიან კონვენციაში ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიმართ, 1961 წ.

d) “ენერალური მდივანი” ნიშნავს გაერო-ს გენერალურ მდივანს.

t) “ფსიქოტროპული ნივთიერება” ნიშნავს ნებისმიერ ნივთიერებას, ბუნებრივს ან სინთეტიკურს, ან ნებისმიერ ბუნებრივ მასალას, რომელიც შეტანილია სიებში I, II, III და IV.

f) “პრეპარატი” ნიშნავს:

i) ნებისმიერ ხსნარს ან ნარევს ნებისმიერ ფიზიკურ მდგომარეობაში, რომელიც შეიცავს ერთ ან რამოდენიმე ფსიქოტროპულ ნივთიერებას.

ii) ერთ ან რამოდენიმე ფსიქოტროპულ ნივთიერებას თერაპიულ დოზებში.

g) “სია I”, “სია II”, “სია III”, “სია IV” ნიშნავს შესატყვისად დანომრილი ფსიქოტროპული ნივთიერებების სიებს, აღნიშნულ კონვენციაში, რომლებშიც შეიძლება შეტანილი იყოს ცვლილებები მუხლი 2-ის შესაბამისად.

h) “ექსპორტი” და “იმპორტი” ნიშნავს რომელიმე ფსიქოტროპული ნივთიერების ფიზიკურ გადანაცვლებას თითოეულის შესაფერის კონტექსტში, ერთი სახელმწიფოდან მეორეში.

i) “დამზადება” ნიშნავს ყველა იმ პროცესებს, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიღებულ იყვნენ ფსიქოტროპული ნივთიერებანი, და შეიცავს, როგორც რაფინირებას, ასევე ერთი ფსიქოტროპული ნივთიერების სხვა ფსიქოტროპულ ნივთიერებად გარდაქმნას. ეს ტერმინი შეიცავს აგრეთვე პრეპარატების დამზადებას, იმ პრეპარატების გარდა, რომელიც მზადდება

რეცეპტის მიხედვით აფთიაქებში.

j) “უკანონო ბრუნევა” ნიშნავს ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მომზადებას, ან მათ გავრცელებას, ან შექმნას აღნიშნული კონვენციის დებულებების დარღვევით.

k) “რაიონი” ნიშნავს რომელიმე სახელმწიფოს რომელიმე ნაწილს, რომელიც 28 მუხლის თანახმად განიხილება აღნიშნული კონვენციის მიზნისათვის ცალკე ერთეულად.

l) “სათავსო” ნიშნავს შენობას ან შენობის ნაწილს, იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელიც მას ემსახურება.

## მუხლი 2

### ნივთიერებათა მიმართ გამოყენებული კონტროლის სფერო

1. თუ რომელიმე მხარეს ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას გააჩნია ცნობები რომელიმე ნივთიერების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ არ რის საერთაშორისო კონტროლის ქვეშ, რომელიც მისი აზრით, შეიძლება ჩართული იყოს აღნიშნული კონვენციის ერთერთი სიაში, იგი აცნობებს ამის შესახებ გენერალურ მდივანს და აწვდის მას ინფორმაციას ამ ცნობის დასადასტურებლად. ეს პროცედურა გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე მხარეს ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას გააჩნია ცნობები, რომელთა საფუძველზედაც მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნულ კონვენციის რომელიმე ნივთიერების გადატანა ერთი სიიდან მეორეში ან რომელიმე ნივთიერების ამ სიიდან ამოღება.

2. გენერალური მდივანი აგზავნის აღნიშნულ ცნობას, და აგრეთვე ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება აღნიშნულ საკითხს, მხარეებს, კომისიებს და თუ ასეთი ცნობა მოდის რომელიმე მხარის მხრიდან, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასაც.

3. თუ ასეთ ცნობასთან გამოგზავნილი ინფორმაცია მოწმობს, რომ აღნიშნული ნივთიერება შეესატყვისება აღნიშნულ კონვენციას I და II სიაში შესატანად, მოცემული მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მაშინ მხარეები მათ ხელს არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე შეისწავლიან შესაძლებლობას დროებით გამოიყენონ მოცემული ნივთიერებისადმი კონტროლის ყველა ზომა, რომელიც განსაზღვრულია I და II სიაში შეტანილი ყველა ნივთიერებისათვის.

4. თუ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია თვლის რომ

a) მოცემულ ნივთიერებას აქვს უნარი

i) 1) გამოიწვიოს დამოკიდებულება და

2) შესწევს უნარი ცნს-ზე მოახდინოს მასტიმულირებელი ან დეპრესიული ზემოქმედება, გამოიწვიოს ჰალუცინაციები ან მოტორული ფუნქციის, აზროვნების, ქცევის, აღქმის, ან გუნება-განწყობის მოშლა ან

ii) გამოიწვიოს ისეთივე ბოროტად გამოყენება, ან ისეთივე მავნე

შედეგები, როგორც I, II, III და IV სიებში შეტანილმა ნებისმიერმა ნივთიერებამ და

b) არსებობს საკმარისი დასტური იმისა, რომ ადგილი აქვს ამ ნივთიერებების ბოროტად გამოყენებას ან არსებობს ასეთი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, რაც შეუქმნის პრობლემას მოსახლეობის ჯანმრთელობას ან დაბადებს სოციალურ პრობლემას, რაც საბაზს იძლევა ამ ნივთიერებების მიმართ გამოყენებულ იქნას საერთაშორისო კონტროლის ზომები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცნობებს კომისიას მოცემული ნივთიერების შეფასების, მისი ბოროტად გამოყენების ხარისხის ან ამის შესაძლებლობის შეფასების მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის პრობლემების წარმოქმნის ხარისხის, სოციალურ პრობლემების წარმოქმნის ხარისხის და თერაპევტულ პრაქტიკაში ამ ნივთიერების სარგებლიანობის ხარისხის შეფასების ჩართვით, აგრეთვე რეკომენდაციებს, თუ ასეთი არსებობს, კონტროლის იმ ზომების შესახებ, რომელიც მისი თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნება.

5. კომისიას, იღებს რა მხედველობაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებებს, რომლის შეფასებაც სამედიცინო და სამეცნიერო საკითხებზე გადამწყვეტია, და მხედველობაში იღებს ეკონომიკურ, სოციალურ, იურიდიულ, ადმინისტრაციულ და სხვა ფაქტორებს რომლებიც, მისი აზრით, დაკავშირებულია ამ საკითხებთან, შეუძლია ჩართოს ეს ნივთიერება I, II, III და IV სიაში. დამატებითი ინფორმაციისათვის კომისიას შეუძლია მიმართოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ან სხვა დაწესებულებებს.

6. თუ რომელიმე შეტყობინება პუნქტ 1 შესაბამისად ეხება ერთ-ერთ სიაში უკვე შეტანილ ამა თუ იმ ნივთიერებას, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აცნობებს კომისიას თავის ახალ დასკვნას, ამ ნივთიერების ნებისმიერ ახალ შეფასებას პუნქტ 4 შესაბამისად, აგრეთვე იმ ახალ რეკომენდაციებს კონტროლის ზომების შესახებ, რომელთაც იგი მიზანშეწონილად ჩათვლის. კომისიას, იღებს რა მხედველობაში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეტყობინებას მე-5 პუნქტის შესაბამისად და ამ პუნქტში ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გადაიტანოს მოცემული ნივთიერება ერთი სიიდან მეორეში ან ამოიღოს იგი სიებიდან.

7. ნამდვილი მუხლის მიხედვით კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ გენერალური მდივანი აცნობებს გაერო-ს წევრ ყველა სახელმწიფოს, მოცემული კონვენციის მხარეებს, რომლებიც არ არიან გაერო-ს წევრები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და კომიტეტს. ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შედის ყოველი მხარისათვის ცნობის გაგზავნის დღიდან 180 დღის შემდეგ, იმ მხარის გამოკლებით, რომელიც მოცემულ ვადებში, ერთ-ერთ სიაში რომელიმე ნივთიერების ჩართვის თაობაზე უგზავნის გენერალურ მდივანს წერილობითი შეტყობინებას, რომ

განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მას არ შეუძლია მოცემული ნივთიერების მიმართ მოქმედებაში შეიყვანოს ნამდვილი კონვენციის ყველა დებულება, რომელიც გათვალისწინებულია ამ სიაში შეტანილი ნივთიერებებისათვის. ასეთ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ამ განსაკუთრებული ზომის მიზეზები. თავისი შეტყობინების მიუხედავად ყოველი მხარე, როგორც მინიმუმი, ანხორციელებს კონტროლის ქვემოთჩამოთვლილ ზომებს:

a) მხარე, რომელმაც გააგზავნა ასეთი შეტყობინება იმ ნივთიერების შესახებ, რომელიც მანამდე I სიაში შეტანილი არ იყო, ითვალისწინებს შესაძლებლობის ფარგლებში, მე-7 მუხლში ჩამოთვლილ კონტროლის სპეციალურ ზომებს და მოცემული ნივთიერების მიმართ:

i) მოითხოვს ლიცენზიას მოცემული ნივთიერების დამზადებაზე, ვაჭრობასა და გავრცელებაზე როგორც ეს მე-8 მუხლითაა გათვალისწინებული II სიაში შეტანილი ნივთიერებებისათვის;

ii) მოითხოვს ექიმის რეცეპტს აღნიშნული ნივთიერების მიწოდების ან გაცემისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-9 მუხლში II სიაში შეტანილი ნივთიერებებისათვის;

iii) ასრულებს მე-12 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ექსპორტსა და იმპორტს, მეორე მხარისადმი ვალდებულების გამოკლებით, რომელმაც ასეთივე შეტყობინება გააგზავნა მოცემული ნივთიერების შესახებ;

iv) ასრულებს მე-13 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვისა და შეზღუდვის შესახებ იმ ნივთიერებების მიმართ, რომლებიც II სიაშია შეტანილი;

v) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის ფ - ქვეპუნქტის შესაბამისად წარუდგენს კომიტეტს სტატისტიკური ანგარიშს და

vi) 22-ე მუხლის შესაბამისად იღებს ზომებს იმ კანონების, ან დადგენილებათა საწინააღმდეგო ქმედების დასათრგუნავად, რომლებიც მიღებულია ზემოაღნიშნული ვალდებულებების აღსასრულებლად.

b) მხარე, რომელმაც გააგზავნა ასეთი შეტყობინება იმ ნივთიერების შესახებ, რომელიც მანამდე კონტროლს არ ექვემდებარებოდა და დაემატა II სიას, აღნიშნული ნივთიერების მიმართ:

i) მოითხოვს ლიცენზიას მოცემული ნივთიერების დამზადებაზე, ვაჭრობასა და გავრცელებაზე როგორც ეს მე-8 მუხლითაა გათვალისწინებული;

ii) მოითხოვს ექიმის რეცეპტს აღნიშნული ნივთიერების მიწოდების ან გაცემისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-9 მუხლში;

iii) ასრულებს მე-12 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ექსპორტსა და იმპორტს, მეორე მხარისადმი ვალდებულების გამოკლებით, რომელმაც ასეთივე შეტყობინება გააგზავნა მოცემული ნივთიერების შესახებ;

iv) ასრულებს მე-13 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვისა და შეზღუდვის შესახებ;

v) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის a, c, და d ქვეპუნქტების შესაბამისად წარუდგენს კომიტეტს სტატისტიკურ ანგარიშს და

vi) 22-ე მუხლის შესაბამისად იღებს ზომებს იმ კანონების, ან დადგენილებათა საწინააღმდეგო ქმედების დასათრგუნავად, რომლებიც მიღებულია ზემოაღნიშნული ვალდებულებების აღსასრულებლად.

c) მხარე, რომელმაც გააგზავნა ასეთი შეტყობინება იმ ნივთიერების შესახებ, რომელიც მანამდე კონტროლს არ ექვემდებარებოდა და დაემატა III სიას, აღნიშნული ნივთიერების მიმართ:

i) მოითხოვს ლიცენზიას მოცემული ნივთიერების დამზადებაზე, ვაჭრობასა და გავრცელებაზე როგორც ეს მე-8 მუხლითაა გათვალისწინებული;

ii) მოითხოვს ექიმის რეცეპტს აღნიშნული ნივთიერების მიწოდების ან გაცემისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-9 მუხლში;

iii) ასრულებს მე-12 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ექსპორტსა და იმპორტს, მეორე მხარისადმი ვალდებულების გამოკლებით, რომელმაც ასეთივე შეტყობინება გააგზავნა მოცემული ნივთიერების შესახებ;

iv) ასრულებს მე -13 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვისა და შეზღუდვის შესახებ;

v) 22-ე მუხლის შესაბამისად იღებს ზომებს იმ კანონების, ან დადგენილებათა საწინააღმდეგო ქმედების დასათრგუნავად, რომლებიც მიღებულია ზემოთაღნიშნული ვალდებულებების აღსასრულებლად.

d) მხარე, რომელმაც გააგზავნა ასეთი შეტყობინება იმ ნივთიერების შესახებ, რომელიც მანამდე კონტროლს არ ექვემდებარება და დაემატა IV სიას, აღნიშნული ნივთიერების მიმართ.

i) მოითხოვს ლიცენზიას მოცემული ნივთიერების დამზადებაზე, ვაჭრობასა და გავრცელებაზე როგორც ეს მე -8 მუხლითაა გათვალისწინებული;

ii) ასრულებს მე -13 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვისა და შეზღუდვის შესახებ;

iii) 22-ე მუხლის შესაბამისად იღებს ზომებს იმ კანონების, ან დადგენილებათა საწინააღმდეგო ქმედებებს დასათრგუნავად, რომლებიც მიღებულია ზემოთაღნიშნული ვალდებულებების აღსასრულებლად.

e) მხარე, რომელმაც გააგზავნა ამგვარი შეტყობინება ისეთ სიაში გადატანილი ნებისმიერი ნივთიერების შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია კონტროლის უფრო მკაცრი ზომები და ვალდებულებები, ამ ნივთიერების მიმართ, როგორც მინიმუმი, იყენებს ნამდვილი კონვენციის ყველა დებულებას, რომელიც იმ სიისთვისაა გათვალისწინებული საიდანაც იგი გადმოიტანეს.

8. a) კომისიის გადაწყვეტილება მიღებული ამ მუხლის შესაბამისად, საბჭოს მიერ გადაისინჯება ნებისმიერი მხარის თხოვნით მოცემული

გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 180 დღის განმავლობაში. თხოვნა გადასინჯვის შესახებ ეგზავნება გენერალურ მდივანს შესაბამის სრული ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული თხოვნა გადასინჯვის შესახებ.

b) გადასინჯვის ზემოაღნიშნული მოთხოვნის ასლებს და შესაბამის ინფორმაციას გენერალური მდივანი უგზავნის კომისიას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და ყველა მხარეს წინადადებით წარმოადგინონ თავისი შენიშვნები 90 დღის განმავლობაში მიღებული შენიშვნები განსახილველად წარედგინება საბჭოს.

c) საბჭომ შეიძლება დაადასტუროს, შესცვალოს ან უარყოს კომისიის დადგენილება.

შეტყობინება საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ ეგზავნება გაერო-ს წევრ ყველა სახელმწიფოს, სახელმწიფოებს – მოცემული კონვენციის მხარეებს, რომლებიც არ არიან გაერო-ს წევრები, კომისიას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და კომიტეტს.

d) მთელი პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ გადასინჯვამდე, კომისიის თავდაპირველი გადაწყვეტილება მე -7 პუნქტის შესრულების პირობით, რჩება ძალაში.

9. მხარეები აკეთებენ ყველაფერს რაც მათზეა დამოკიდებული, რათა იმ ნივთიერებების მიმართ, რომლებიც არ ექვემდებარებიან კონვენციის მოქმედებას, მაგრამ შესაძლებელია გამოყენებულ იქნენ ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო დამზადებისათვის, გამოყენებული იყოს ზედამხედველობის ისეთი ზომები, რომელთა განხორციელებაც პრაქტიკულადაა შესაძლებელი.

### **მუხლი 3**

#### **პრეპარატებზე კონტროლის სპეციალური დებულებები**

1. იმ შემთხვევათა გამოკლებით, რომლებიც მოცემული მუხლის ქვემომოყვანილ პუნქტებშია ნახსენები, პრეპარატის მიმართ გამოიყენება კონტროლის ის ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ პრეპარატში შემავალი ფსიქოტროპული ნივთიერების მიმართ; თუ პრეპარატი შეიცავს რამდენიმე ასეთ ნივთიერებას, იგი ექვემდებარება ზომებს, რომლებიც გამოიყენება უფრო მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მიმართ.

2. თუ რომელიმე ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი (გარდა I სიაში შეტანილი ნივთიერებისა) ნებისმიერ პრეპარატს აქვს ისეთი შემადგენლობა, რომ არ ქმნის მისი ბოროტად გამოყენების რისკს, ან იგი უმნიშვნელოა და თუ ამ ნივთიერების გამოყოფა პრეპარატიდან მისი ბოროტად გამოყენების მიზნით მეტად გაძნელებულია, ასე რომ მოცემული პრეპარატი არ არის საშიში მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის და არ ქმნის



სოციალური პრობლემებს, იგი შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს კონვენციით გათვალისწინებული კონტროლის ზოგიერთი ზომისაგან მე -3 პუნქტის თანახმად.

3. თუ მხარე წინამდებარე მუხლის საფუძველზე იძლევა დასკვნას რომელიმე პრეპარატის შესახებ, მას შეუძლია თავის ქვეყანაში, ან ქვეყნის რომელიმე რაიონში გაათავისუფლოს პრეპარატი კონვენციაში გათვალისწინებული კონტროლის რომელიმე ან ყველა ზომისაგან გარდა:

a) მე -8 მუხლის (ლიცენზიები) იმ ნაწილში, რომელიც დამზადებას ეხება;

b) მე - 11 მუხლის (სარეგისტრაციო ჩანაწერი) იმ ნაწილში, რომელიც ეხება კონტროლისაგან განთავისუფლებულ პრეპარატებს;

c) მე-13 მუხლისა (ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა და შეზღუდვა);

d) მე -15 მუხლის (ინსპექცია) იმ ნაწილში, რომელიც ეხება დამზადებას;

e) მე -16 მუხლის (მხარეთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებები) იმ ნაწილში, რომელიც ეხება კონტროლისაგან განთავისუფლებულ პრეპარატებს და

f) 22-ე მუხლისა (დებულებები დასჯის შესახებ) იმ ზომით, რამდენადაც ეს აუცილებელია იმ ქმედებათა დათრგუნვისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგება ზემოთმოყვანილ ვალდებულებათა შესასრულებლად მიღებულ კანონებსა და დადგენილებებს.

ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილების შესახებ, პრეპარატის დასახელებასა და მის შემადგენლობას, იმ ზომების ჩამონათვალს რომელთაგანაც თავისუფლდება პრეპარატი მხარე ატყობინებს გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი გადასცემს შეტყობინებას სხვა მხარეებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და კომიტეტს.

4. თუ რომელიმე მხარეს ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას გააჩნია ცნობები მე -3 პუნქტის თანახმად კონტროლისაგან განთავისუფლებული რომელიმე პრეპარატის შესახებ, რომლებიც მათი აზრით, მოითხოვენ ასეთი ამოღების მთლიან ან ნაწილობრივ შეწყვეტას, იგი აცნობებს ამის შესახებ გენერალურ მდივანს და შარუდგენს მას შესაბამის ინფორმაციას. გენერალური მდივანი უგზავნის ასეთ შეტყობინებას და ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება საკითხს, მხარეებს, კომისიას, ხოლო თუ შეტყობინება მომდინარეობს რომელიმე მხარისაგან ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცნობებს კომისიას მოცემული პრეპარატის შეფასებას მე -2 პუნქტის მიხედვით და თუ ეს საჭიროა, რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელთა ზემოქმედებიდან ამ პრეპარატის განთავისუფლება უნდა შეწყდეს. კომისიას, იღებს რა მხედველობაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის აღნიშნულ მითითებას, რომლის შეფასებაც სამედიცინო და სამეცნიერო საკითხებზე გადამწყვეტია, და ითვალისწინებს რა ეკონომიკურ, სოციალურ, იურიდიულ, ადმინისტრაციულ და სხვა ფაქტორებს რომლებიც, მისი აზრით,

დაკავშირებულია ამ საკითხებთან, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შეწყვიტოს აღნიშნული პრეპარატის ამოღება კონტროლის რომელიმე, ან ყველა ზომის დაქვემდებარებიდან. მოცემული პუნქტის მიხედვით კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ გენერალური მდივანი აცნობებს გაერო-ს წევრ ყველა სახელმწიფოს, სახელმწიფოებს მოცემული კონვენციის მხარეებს, რომლებიც არ არიან გაერო-ს წევრები, კომისიას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და კომიტეტს ყველა მხარე დებულობს ზომას, კონტროლის განსახილველი ზომის ან ზომებისაგან პრეპარატის განთავისუფლების შეწყვეტის გამო გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 180 დღის განმავლობაში.

#### **მუხლი 4**

### **სხვა სპეციალური დებულებები, რომლებიც კონტროლის გამოყენების სფეროს ეხება**

ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ, გარდა I სიაში შეტანილი ნივთიერებებისა, მხარეებმა შესაძლებელია დაუშვან:

a) პირებმა ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობისას, პირადი მოხმარებისათვის თან იქონიონ პრეპარატების მცირე რაოდენობა; მაგრამ ყოველ მხარეს უფლება აქვს დარწმუნდეს, რომ პრეპარატები კანონიერი გზით იყო მიღებული;

b) ასეთი ნივთიერებების გამოყენება წარმოებაში არაფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პროდუქტების დამზადებისათვის, მათ მიმართ კონვენციით გათვალისწინებული კონტროლის ზომების გამოყენებით, ვიდრე აღნიშნული ფსიქოტროპული ნივთიერებები არ მიიღებენ ისეთ სახეს, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება მათი ბოროტად გამოყენება ან მათი გამოყოფა და

c) ასეთი ნივთიერებების გამოყენება კონვენციით გათვალისწინებული ზომების დაცვით – ცხოველების დასაჭერად იმ პირთა მიერ, რომლებსაც კომპეტენტური ორგანოების მიერ მინიჭებული აქვთ ასეთი ნივთიერებების გამოყენების უფლება.

#### **მუხლი 5**

### **სამედიცინო და სამეცნიერო მიზნით შეზღუდვა**

1. ყოველი მხარე ზღუდავს I სიაში შეტანილ ნივთიერებების გამოყენებას. როგორც ეს გათვალისწინებულია მე - 7 მუხლში.

2. ყოველი მხარე, მე - 4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ზღუდავს II, III და IV სიებში შეტანილი ნივთიერებების დამზადებას, ექსპორტს, იმპორტს, განაწილებას და სასაწყობო მარაგს, აგრეთვე ვაჭრობას და სამედიცინო და სამეცნიერო მიზნით გამოყენებას იმ ზომების საშუალებით,

რომლებიც მას მიზანშეწონილად მიაჩნიათ.

3. სასურველია, რომ მხარეებმა არ დაუშვან II, III და IV სიებში შეტანილი ნივთიერებების ქონება, გარდა კანონიერი საფუძვლისა.

## **მუხლი 6** **სპეციალური მართვა**

აღნიშნული კონვენციის დებულებების გამოყენების მიზნით სასურველია ყოველმა მხარემ შექმნას და იქონიოს სპეციალური სამმართველო, რაც შეიძლება იგივე იყოს და ეს უპირატესობა იქნება რაც სპეციალური სამმართველო, შექმნილი ნარკოტიკულ ნივთიერებებზე კონტროლის კონვენციის დებულებათა განსახორციელებლად, ან შეუძლია იმუშაოს მასთან მჭიდრო ურთიერთობაში.

## **მუხლი 7** **სპეციალური დებულებები, რომლებიც I სიაში** **შეტანილ ნივთიერებებს ეხება**

I სიაში შეტანილ ნივთიერებათა მიმართ მხარეები:

a) კრძალავენ მათ ყოველგვარ გამოყენებას, გარდა სამეცნიერო და ძალიან შეზღუდული სამედიცინო მიზნებისა და სათანადო რწმუნებებით აღჭურვილი პირების მიერ სამედიცინო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში, რომლებიც იმყოფებიან მთავრობის უშუალო კონტროლის ქვეშ, ან მის მიერ სპეციალურად გაცემული ნებართვის საფუძველზე;

b) მოითხოვენ, რომ ამ ნივთიერებების დამზადება, განაწილება, ვაჭრობა და მათი ფლობა ხორციელდებოდეს სპეციალური ლიცენზიებით ან წინასწარ მიღებული ნებართვით;

c) უზრუნველყოფენ a და b პუნქტებში მოხსენებულ ქმედებებსა და მოღვაწეობაზე ზედმიწევნით კონტროლს;

d) ზღუდავენ სათანადოდ უფლებამოსილი პირისათვის გაცემული ნივთიერების რაოდენობას იმ რაოდენობით რომელიც საჭიროა მისი მიზნებისათვის;

e) მოითხოვენ, რომ პირები რომლებიც ასრულებენ სამედიცინო ან სამეცნიერო ფუნქციებს, აწარმოებდნენ ამ ნივთიერებათა შეძენის სარეგისტრაციო ჩანაწერებს მათი გამოყენების დაწვრილებითი აღწერით; ასეთი ჩანაწერები უნდა ინახებოდეს არანაკლებ ორი წლისაა ამ ნივთიერებების გამოყენების შესახებ უკანასკნელი ჩანაწერის შეტანის შემდეგ და

f) კრძალავენ ექსპორტსა და იმპორტს იმ შემთხვევების გარდა როდესაც ექსპორტიორი და იმპორტიორი წარმოადგენენ მათ ექსპორტირებელი ან მაიმპორტირებელი ქვეყნის ან რაიონის კომპეტენტურ ორგანოებს ან

დაწესებულებებს, შესაბამისად, ან სხვა პირებს, ან დაწესებულებებს, რომელთაც ამ მიზნით მათი ქვეყნის ან რაიონის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა. მე – 12 მუხლის I პუნქტის დებულებები II სიაში შეტანილი ნივთიერებების ექსპორტისა და იმპორტზე ნებართვის გაცემის შესახებ ვრცელდება I სიაში შეტანილ ნივთიერებზეც.

## **მუხლი 8 ლიცენზიები**

1. მხარეები მოითხოვენ, რათა II, III და IV სიებში შეტანილი ნივთიერებების დამზადება, განაწილება, აგრეთვე ამ ნივთიერებებით ვაჭრობა (საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობის ჩათვლით) ხორციელდებოდეს ლიცენზიებით ან კონტროლის სხვა ანალოგიური ზომის გამოყენებით.

2. მხარეები:

a) აკონტროლებენ ყველა სათანადოდ უფლებამოსილ პირსა და საწარმოს, რომლებიც აწარმოებენ ან დაკავშირებული არიან 1 პუნქტში მოხსენებული ნივთიერებების დამზადებასა და განაწილებასთან და აგრეთვე ამ ნივთიერებებთან ვაჭრობასთან (საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობის ჩათვლით);

b) ლიცენზიების ან კონტროლის სხვა ანალოგიური ზომების მეშვეობით აკონტროლებენ იმ საწარმოებსა და სათავსებს სადაც შესაძლებელია ხორციელდებოდეს ასეთი დამზადება, განაწილება, აგრეთვე ვაჭრობა; და

c) უზრუნველყოფენ უსაფრთხოების ზომების მიღებას ასეთი საწარმოებისა და სათავსების მიმართ, ქურდობისა და საწყობებიდან მარაგის სხვა სახით დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით;

3. აღნიშნული მუხლის 1 და 2 პუნქტების დებულებები, რომლებიც ეხება ლიცენზიებს, ან კონტროლის სხვა ანალოგიურ საშუალებებს, შესაძლებელია არ შეეხოს იმ პირებს, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სამედიცინო და სამეცნიერო ფუნქციები, ამ ფუნქციების აღსრულების დროს.

4. მხარეები მოითხოვენ, რომ ყველა პირი რომელიც ღებულობს ლიცენზიას ნამდვილი კონვენციის თანახმად, ან რომელიც ღებულობს სხვა სახის ნებართვას მოცემული მუხლის 1 პუნქტის, ან მე-7 მუხლის b პუნქტის შესაბამისად, ფლობდეს ცხოვრებაში ისეთი კანონებისა და დადგენილებების ეფექტური და ზუსტი გატარებისათვის აუცილებელ თვისებებს, რომლებიც მიიღება კონვენციის აღსრულების მიზნით.

## **მუხლი 9 რეცეპტები**

1. მხარეები მოითხოვენ, რომ II, III და IV სიებში შეტანილი

ნივთიერებების ცალკეულ პირთათვის მიწოდება ან გაცემა განხორციელდეს მხოლოდ ექიმის რეცეპტების, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ცალკეულ პირებს კანონიერ საფუძველზე შეუძლიათ მიიღონ, გამოიყენონ, გასცენ ან დანიშნონ ასეთი ნივთიერებები შესაბამისად ნებადართული საექიმო ან სამეცნიერო ფუნქციების აღსრულებისას.

2. მხარეები ღებულობენ ზომებს, რათა II, III და IV სიებში შეტანილი ნივთიერებების გაცემა განხორციელდეს სამედიცინო პრაქტიკაში მიღებული წესით და იმგვარად იყოს რეგლამენტირებული, კერძოდ მათი შესაძლო განმეორებითი გამოყენებისა და მოქმედების ვადების საკითხებში, რომ გახდეს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის საშუალება.

3. 1 პუნქტისაგან დამოუკიდებლად, მხარეს შეუძლია, თუ ამას მოითხოვენ ადგილობრივი გარემოებები და იმ პირობებზე, რომელთა წამოყენებაც მას შეუძლია, სარეგისტრაციო ჩანაწერების წარმოების ჩათვლით, ნება დართოს მის ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილებში მოსახლეობის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ დანიშნულ, ლიცენზიის მქონე აფთიაქარებს ან ლიცენზიის მქონე სხვა საცალო განმანაწილებლებს თავისი შეხედულებისამებრ და ურეცეპტოდ გამონაკლის შემთხვევაში მიაწოდოს ცალკეულ პირებს სამედიცინო მიზნებისათვის III და IV სიებში შეტანილი ნივთიერებები მცირე რაოდენობით, მხარეების მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.

## **მუხლი 10**

### **გამაფრთხილებელი წარწერები კოლოფებზე და რეკლამა**

1. ყოველი მხარე, იღებს რა მხედველობაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამის გადაწყვეტილებებს ან რეკომენდაციებს, მოითხოვს რათა ეტიკეტები, როდესაც ეს შესაძლებელია, ან ნებისმიერ შემთხვევაში ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი საცალო ფუთის თანდართული ფურცლები შეიცავდნენ ისეთ მითითებებს აღნიშნული ნივთიერების ხმარების შესახებ, გაფრთხილებების ჩათვლით, რომლებიც მისი აზრით აუცილებელია იმ პირთა უსაფრთხოებისათვის, ვინც ამ ნივთიერებებს ხმარობს.

2. თითოეული მხარე, ღებულობს რა მხედველობაში თავის კონსტიტუციურ დებულებებს, კრძალავს ასეთი ნივთიერებების რეკლამირებას მოსახლეობაში.

## **მუხლი 11**

### **სარეგისტრაციო ჩანაწერები**

1. მხარეები თხოულობენ, რომ I სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ, დამამზადებლები და ყველა სხვა პირი, რომელთაც მე-7 მუხლის შესაბამისად აქვთ ამ ნივთიერებებით ვაჭრობისა და მათი განაწილების

უფლება, აწარმოებდნენ სარეგისტრაციო ჩანაწერებს თითოეული მხარის მიერ დადგენილი წესით; აღრიცხონ დაწვრილებითი ცნობები დამზადებული ნივთიერების რაოდენობის შესახებ, ასეთი ნივთიერებების სასაწყობო მარაგის შესახებ, ხოლო მიღებისა და გაცემის თითოეული შემთხვევის დაწვრილებითი მონაცემები რაოდენობის, თარიღის, მიმწოდებლის და მიმღების შესახებ.

2. მხარეები თხოულობენ, რომ II და III სიებში შეტანილი ნივთიერებების მიმართ, დამამზადებლები, საბითუმო გამანაწილებლები, ექსპორტიორები და იმპორტიორები აწარმოებდნენ სარეგისტრაციო ჩანაწერებს თითოეული მხარის მიერ დადგენილი წესით; აღრიცხონ დაწვრილებითი ცნობები დამზადებული ნივთიერების რაოდენობის შესახებ, ხოლო მიღებისა და გაცემის თითოეული შემთხვევისათვის დაწვრილებითი მონაცემები რაოდენობის, თარიღის, მიმწოდებლის და მიმღების შესახებ.

3. მხარეები თხოულობენ, რომ II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ საცალო გამანაწილებლები, საავადმყოფოები და სამკურნალო-პროფილაქტიკური, აგრეთვე სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები აწარმოებდნენ სარეგისტრაციო ჩანაწერებს მხარის მიერ დადგენილი წესით; აღრიცხონ მიღებისა და გაცემის თითოეული შემთხვევისათვის ზუსტი ცნობები რაოდენობის, თარიღის, მიმწოდებლის და მიმღების შესახებ.

4. მხარეები შესაბამისი მეთოდების მეშვეობით და მათ ქვეყანაში მიღებული პროფესიული და სავაჭრო პრაქტიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფენ, რომ ინფორმაცია III სიაში შეტანილი ნივთიერებების მიღებისა და გაცემის შესახებ საცალო განმანაწილებლებისათვის, საავადმყოფოების და სამკურნალო-პროფილაქტიკური, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის ადვილად მისაწვდომი იყოს.

5. მხარეები თხოულობენ, რომ IV სიაში ჩართული ნივთიერებების მიმართ დამამზადებლები, ექსპორტიორები და იმპორტიორები აწარმოებდნენ სარეგისტრაციო ჩანაწერებს მხარის მიერ დადგენილი წესით დამზადებული, გაზიდული ან შემოზიდული ნივთიერების რაოდენობის მითითებით.

6. მხარეები მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კონტროლისაგან განთავისუფლებული პრეპარატების დამამზადებლებისაგან მოითხოვენ სარეგისტრაციო ჩანაწერების წარმოებას კონტროლისაგან განთავისუფლებული პრეპარატის დამზადებისას გამოყენებული თითოეული ფსიქოტროპული ნივთიერების რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ამ ნივთიერებისაგან დამზადებული, კონტროლისაგან განთავისუფლებული პრეპარატის ხასიათის, საერთო რაოდენობისა და პირველადი გაცემის შესახებ.

7. მხარეები არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოფენ ზემოთმოყვანილ მუხლში მოხსენიებული სარეგისტრაციო ჩანაწერებისა და ინფორმაციის შენახვას, რაც აუცილებელია მე-16 მუხლის თანახმად შედგენილი მოხსენებების წარმოდგენისათვის.

## მუხლი 12 დებულებები საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ

1. a) თითოეული მხარე, როდესაც ნებას რთავს I და II სიებში შეტანილი ნივთიერებების გაზიდვას ან შემოზიდვაზე მოითხოვს, რათა კომისიის მიერ დადგენილ ბლანკზე თითოეული ცალკეული საექსპორტო ან საიმპორტო გარიგებისათვის მიღებული იყოს ცალკე ნებართვა შემოზიდვაზე ან გაზიდვაზე, მიუხედავად იმისა ერთ ნივთიერებას ეხება ეს, თუ რამოდენიმეს.

b) ასეთ ნებართვაში მითითებულია საერთაშორისო არარეგისტრირებული დასახელება. ან თუ ასეთი დასახელება არ არსებობს, ამ ნივთიერების აღნიშვნა შესაბამის სიაში, ექსპორტისა ან იმპორტისათვის განკუთვნილი რაოდენობა, ფარმაცევტული ფორმა, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელება და მისამართი, აგრეთვე ვადა, რომლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს ექსპორტი ან იმპორტი. იმ შემთხვევებში თუ ექსპორტი ან იმპორტი ხორციელდება პრეპარატის სახით, ამის გარდა აუცილებელია აღინიშნოს ამ პრეპარატის დასახელება, თუკი ასეთი არსებობს. ექსპორტზე ნებართვაში უნდა მიეთითოს აგრეთვე იმპორტის ნებართვის ნომერი, მისი გაცემის თარიღი და ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება.

c) ექსპორტზე ნებართვის გაცემამდე მხარეები მოითხოვენ იმპორტზე ნებართვის წარმოდგენას, რომელსაც გასცემს შემომზიდავი ქვეყნის ან რაიონის კომპეტენტური ორგანო და რომელიც ადასტურებს, რომ მასში მითითებული ნივთიერების ან ნივთიერებების იმპორტი ნებადართულია; ასეთ ნებართვას წარმოადგენს პირი ან საწარმო, რომელიც ითხოვს ექსპორტის ნებართვას.

d) ნივთიერების ყოველ საექსპორტო პარტიას თან უნდა ახლდეს ნებართვა ექსპორტზე, ხოლო მთავრობა, რომელმაც გასცა ექსპორტის ნებართვა, უგზავნის შემომზიდავი ქვეყნის ან რაიონის მთავრობას გაცემული ნებართვის ასლს.

e) იმპორტის განხორციელების შემდეგ შემომზიდავი ქვეყნის ან რაიონის მთავრობა უბრუნებს ექსპორტიორი ქვეყნის ან რაიონის მთავრობას ზემოხსენებულ ნებართვას აღნიშვნით, რომელიც ადასტურებს ფაქტიური იმპორტის რაოდენობას.

2. a) მხარეები თხოულობენ, რომ III სიაში შეტანილი ნივთიერებების ექსპორტის ყოველი შემთხვევისათვის, ექსპორტიორებმა კომისიის მიერ დადგენილ ფორმულაზე, სამ ეგზემპლარად შეადგინონ დეკლარაცია, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას.

i) ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელება და მისამართი

ii) ნივთიერების საერთაშორისო არარეგისტრირებული დასახელება ან, ასეთის არარსებობისას, ამ ნივთიერების აღნიშვნა შესაბამის სიაში.

iii) ნივთიერების რაოდენობა და ფარმაცევტული ფორმა რომლითაც ხდება აღნიშნული ნივთიერების ექსპორტი, ხოლო თუ ნივთიერების გაზიდვა ხორციელდება პრეპარატის სახით, ამ პრეპარატის სახელი, თუ ასეთი

არსებობს; და

iv) გაგზავნის თარიღი

b) ექსპორტიორები თავის ქვეყნის ან რაიონის კომპეტენტურ ორგანოებს წარუდგენენ ხსენებული დეკლარაციის ორ ეგზემპლარს, ხოლო მესამეს აგზავნიან ტვირთთან ერთად.

c) მხარე, რომლის ტერიტორიიდანაც ხორციელდება III სიაში შეტანილი რომელიმე ნივთიერების ექსპორტი, შეძლებისდაგვარად მცირე ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 90 დღისა გაგზავნის თარიღიდან, დაზღვეული ფოსტით უგზავნის შემომზიდავი ქვეყნის ან რაიონის კომპეტენტურ ორგანოებს ექსპორტიორისაგან მიღებული დეკლარაციით ერთ ეგზემპლარს თხოვნით, დაადასტუროს მისი მიღება.

d) მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ ტვირთვის მიღების შემდეგ შემომზიდავმა გაუგზავნოს ქვეყნის ან რაიონის კომპეტენტურ ორგანოებს ტვირთზე თანდართული დეკლარაციის სათანადო წესით დამოწმებული ეგზემპლარი, მიღებული რაოდენობისა და მიღების თარიღის მითითებით.

3. I და II სიაში შეტანილი ნივთიერებისათვის მიღებულია შემდეგი დამატებითი დებულებები.

a) მხარეები თავისუფალ პორტებსა და ზონებში ანხორციელებენ ისეთივე ზედამხედველობსა და კონტროლს, როგორც თავისი ტერიტორიის სხვა ნაწილებში მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ უფრო მკაცრი ზომები.

b) აკრძალულია ტვირთის ექსპორტი საფოსტო ყუთის ან ბანკის მისამართით სხვა პირის სახელზე, გარდა ექსპორტზე ნებართვაში მითითებული პირისა.

c) I სიაში შეტანილი ნივთიერებების ექსპორტი მიწერილი საბაჟო საწყობების მისამართით აკრძალულია II სიაში შეტანილი ნივთიერებების ექსპორტი მიწერილი საბაჟო საწყობების მისამართით აკრძალულია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შემომზიდავი ქვეყნის მთავრობა, ექსპორტიორი პირის ან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ნებართვაში იმპორტზე აღნიშნავს, რომ იგი უფლებას იძლევა იმპორტზე შემოსაზიდი ტვირთის მიწერილ საბაჟო საწყობში მოთავსების მიზნით. ამ შემთხვევაში ექსპორტზე ნებართვაში მითითებულია, რომ აღნიშნული ტვირთის ექსპორტი ხდება ამ მიზნით. მიწერილი საბაჟო საწყობიდან ტვირთის ყოველი გაცემისათვის საჭიროა იმ ორგანოების ნებართვა, რომელთა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება მოცემული საბაჟო საწყობი, ხოლო ტვირთს საზღვარგარეთ გამგზავრებისას მისი გაცემა განიხილება როგორც ახალი ექსპორტი ნამდვილი კონვენციის კონტექსტში.

d) ტვირთი რომელიც შედის რომელიმე მხარის ტერიტორიაზე ან გამოდის მისი ტერიტორიიდან ექსპორტზე ნებართვის გარეშე, კომპეტენტური ორგანოების მიერ დაკავებას ექვემდებარება.

e) მხარე არ იძლევა თავის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნისათვის



განკუთვნილი რამე ნივთიერების ტრანზიტის უფლებას, მიუხედავად იმისა ჩამოღებული თუ არა ტვირთი იმ სატრანსპორტო საშუალებიდან, რომელითაც ხდება გადაზიდვა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მხარის კომპეტენტურ ორგანოებს წარუდგენენ აღნიშნული ტვირთის ექსპორტის ნებართვის ასლს.

f) იმ ქვეყნის ან რაიონის კომპეტენტური ორგანოები, რომელთა ტერიტორიაზეც ნებადართულია ნივთიერებების შემცველი ამა თუ იმ ტვირთის ტრანზიტი, დებულობენ ყველა ზომას რათა თავიდან აიცილონ ტვირთის გადაადგილება ექსპორტზე ნებართვის თანდართულ ასლში აღნიშნულისაგან განსხვავებული მისამართით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მარშრუტის ასეთი ცვლილება ნებადართულია იმ ქვეყნის ან რაიონის მთავრობის მიერ რომლის ტერიტორიაზეც ხდება ტვირთის სატრანზიტო გადაადგილება, იმ ქვეყნის ან რაიონის მთავრობა, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ტრანზიტი, განიხილავს ყოველ თხოვნას ტვირთის გადაადგილების მიმართულების ცვლილების შესახებ იმგვარად, თითქოს ასეთი ცვლილება წარმოადგენდეს ექსპორტს იმ ქვეყნიდან ან რაიონიდან, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ტრანზიტი, ახალი დანიშნულების ქვეყანაში ან რაიონში. თუ ტვირთის გადაადგილების მიმართულების ასეთი ცვლილება ნებადართულია, მაშინ ნამდვილი მუხლის e ქვეპუნქტის დებულებები მოქმედებს იმ ქვეყნისა ან რაიონის, სადაც ხორციელდება ტრანზიტი, ურთიერთობებზე იმ ქვეყანასთან ან რაიონთან, საიდანაც თავდაპირველად ხორციელდება ტვირთის ექსპორტი.

g) ნივთიერებების შემცველი არავითარი ტვირთი, რომელიც ტრანზიტით მოძრაობს ან იმყოფება მიწერილ საწყობში, არ შეიძლება მოექცეს რაიმე პროცესის ზეგავლენის ქვეშ, რომელიც მის ბუნებას შეცვლის. კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე არ შეიძლება შეფუთვის შეცვლა.

h) მოცემული პუნქტის e-g ქვეპუნქტების დებულებები, რომლებიც ეხება ნივთიერებების მოძრაობას ამა თუ იმ მხარის ტერიტორიაზე, არ მოქმედებენ იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება თვითმფრინავით, იმ პირობით რომ თვითმფრინავი გადაუფრენს სატრანზიტო ქვეყნის ან რაიონის ტერიტორიას მიწაზე დაშვების გარეშე. თუ თვითმფრინავი ეშვება ნებისმიერი ასეთი ქვეყნის, ან ნებისმიერი ასეთი რაიონის ტერიტორიაზე ზემოთაღნიშნული დებულებების გამოყენება ხდება არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

i) მოცემული პუნქტის დებულებები ზიანს არ აყენებენ კონტროლის შემზღუდავი რომელიმე საერთაშორისო მოლაპარაკების დებულებებს, რომლის განხორციელებაც შეუძლია ნებისმიერ მხარეს ტრანზიტით გადაადგილებული ასეთი ნივთიერებების მიმართ.

### მუხლი 13

#### ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა და შეზღუდვა

1. მხარეს შეუძლია გენერალური მდივნის მეშვეობით შეატყობინოს ყველა სხვა მხარეს, რომ იგი თავის ქვეყანაში ან ერთ-ერთ რიონში კრძალავს II,III ან IV სიებში შეტანილი და მის შეტყობინებაში აღნიშნული ერთი ან რამოდენიმე ნივთიერების იმპორტს ნებისმიერ ასეთ შეტყობინებაში აღნიშნება ნივთიერების ის დასახელება, რომლითაც იგი მოხსენებულია II,III ან IV სიაში

2. 1 პუნქტის შესაბამისად რაიმე აკრძალვის შეტყობინების მიღების შემდეგ ესა თუ ის მხარე იღებს ზომებს რათა უზრუნველყოს, რომ ასეთ შეტყობინებაში აღნიშნული არც ერთი ნივთიერება არ იყოს ექსპორტირებული იმ ქვეყანაში, რომელმაც გააგზავნა შეტყობინება.

3. წინამდებარე პუნქტების დებულებებისაგან დამოუკიდებლად, მხარეს რომელმაც გააკეთა განაცხადი 1 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმპორტზე ლიცენზიის გაცემისას დართოს ნება აღნიშნული ნივთიერებების ან ამ ნივთიერებათა შემცველი პრეპარატების გარკვეული რაოდენობის იმპორტზე. შემომზიდავი ქვეყნის ორგანოები, რომლებიც გასცემენ ასეთი ლიცენზიებს, უგზავნიან აღნიშნული სპეციალური ლიცენზიის ორ ეგზემპლარს მათში მითითებული ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელებითა და მისამართით, მაექსპორტირებელი ქვეყნის ან რაიონის კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებსაც მათი მიღების შემდეგ შეუძლიათ დართონ ნება ექსპორტიორს გაგზავნოს ტვირთი. იმპორტზე ამ სპეციალური ლიცენზიის ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ სათანადო წესით დამოწმებული ერთი ეგზემპლარი ტვირთს თან უნდა ერთვოდეს.

#### **მუხლი 14**

### **სპეციალური დებულებები, რომლებიც ეხება ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა გატანას პირველადი დახმარების აფთიაქებში გემებზე, თვითმფრინავებში ანდა საერთაშორისო მარშრუტებზე მოძრავ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა სახეობებზე**

1. გემებზე, თვითმფრინავებსა და ისეთ საერთაშორისო საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, როგორცაა საერთაშორისო სარკინიგზო მატარებლები და ავტობუსები II,III და IV სიებში შეტანილი ნივთიერებების გადატანა მცირე რაოდენობით, რაც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს მგზავრობის პერიოდში პირველადი დახმარებისათვის ან საგანგებო შემთხვევებში, არ განიხილება როგორც ექსპორტი, იმპორტი ანდა ტრანზიტი აღნიშნული კონვენციის კონტექსტში.

2. რეგისტრაციის ქვეყანა ღებულობს სიფრთხილის სათანადო ზომებს, რათა აიცდინოს 1 პუნქტში ნახსენები ნივთიერებების არადანიშნულებსამებრ გამოყენება ანდა მათი გაჟონვა არაკანონიერი მიზნით გამოყენებისათვის.

საკონსულტაციო კომისია, შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად, რეკომენდაციებს იძლევა სიფრთხილის ზომების მისაღებად.

3. იმ ნივთიერებების მიმართ, რომელთა გადატანა ხდება 1 პუნქტის შესაბამისად, გემებზე, თვითმფრინავებზე ანდა ისეთ საერთაშორისო საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, როგორცაა საერთაშორისო სარკინიგზო მატარებლები და ავტობუსები, მოქმედებენ კანონები, დადგენილებები, ნებართვები და ლიცენზიები სარეგისტრაციო ქვეყნის კომპეტენტური ადგილობრივი ორგანოების მიერ აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებზე შემოწმების ჩატარების, ინსპექტირებისას და სხვა საკონტროლო ზომებზე უფლების რაიმე შეზღუდვის გარეშე. ასეთი ნივთიერებების საგანგებო შემთხვევაში გამოყენება არ განიხილება როგორც მე-9 მუხლის 1 პუნქტის დებულების დარღვევა.

### **მუხლი 15 ინსპექცია**

მხარეებს უნდა ჰქონდეს ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა დამამზადებლების, ექსპორტიორებისა და იმპორტიორების, საბითუმო და საცალო გამნაწილებლების, აგრეთვე სამედიცინო და სამეცნიერო – კვლევითი დაწესებულებების, რომლებიც ასეთ ნივთიერებებს იყენებენ, ინსპექციის სისტემა. მხარეები ითვალისწინებენ შესაბამისი სათავსოების, სასაწყობო მარაგისა და სარეგისტრაციო ჩანაწერების სხვადასხვა სახის ინსპექციას იმ სიხშირით, როგორსაც ისინი აუცილებლად ჩათვლიან.

### **მუხლი 16 მხარეების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები**

1. მხარეები გენერალურ მდივანს წარუდგენენ ისეთ ინფორმაციას, როგორც კომისიამ შეიძლება მოითხოვოს, როგორც აუცილებელი თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის კერძოდ, ყოველწლიურ მოხსენებებს მათ ტერიტორიაზე აღნიშნული კონვენციის გამოყენების შესახებ, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც ეხება:

a) მნიშვნელოვან ცვლილებებს მათ კანონებსა და დადგენილებებში ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ; და

b) საგრძნობ ცვლილებებს მათ ტერიტორიაზე ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებასა და მათ უკანონო ბრუნვაში.

2. გარდა ამისა მხარეები ატყობინებენ გენერალურ მდივანს მე-7 მუხლის f ქვეპუნქტში, მე-12 მუხლსა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტში ნახსენები სამთავრობო ორგანოების დასახელებასა და მისამართებს. ამ ინფორმაციას გენერალური მდივანი აწვდის ყველა მხარეს.

3. შეტყობინებას უკანონო ბრუნვის, ან უკანონო ბრუნვიდან ამოღების

ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, მხარეები უგზავნიან გენერალურ მდივანს აღნიშნული შემთხვევიდან შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, თუ ამას ისინი მნიშვნელოვნად თვლიან ვინაიდან:

- a) ვლინდება ახალი ტენდენციები;
- b) მნიშვნელოვანია რაოდენობა, რომლის შესახებაცაა ლაპარაკი;
- c) მონაცემები წარმოაჩენენ ნივთიერებათა მიღების წყაროებს; ან
- d) მეთოდებს, რომლებსაც იყენებენ პირები, აწარმოებენ რა უკანონო ბრუნვას, ასეთი ცნობების ასლები იგზავნება 21-ე მუხლის b ქვეპუნქტის მიხედვით.

4. მხარეები წარუდგენენ კომიტეტს ყოველწლიურ სტატისტიკურ ანგარიშებს კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ბლანკებზე:

a) I და II სიებში შეტანილი ყოველი ნივთიერების მიმართ ასეთი ნივთიერების დამზადებული, ყოველ ქვეყანაში, ან ყოველ რაიონში ექსპორტირებული, ან ყოველი ქვეყნიდან ან რაიონიდან იმპორტირებული რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ამ ნივთიერების სასაწყობო მარაგის შესახებ, რომელიც აქვთ დამამზადებლებს;

b) III და IV სიებში შეტანილი ყოველი ნივთიერების მიმართ – ასეთი ნივთიერების დამზადებული და აგრეთვე ექსპორტირებული ან იმპორტირებული საერთო რაოდენობის შესახებ;

c) II და III სიებში შეტანილი ყოველი ნივთიერების მიმართ ასეთი ნივთიერების რაოდენობის შესახებ, რომელიც გამოყენებული იყო კონტროლიდან ამოღებული პრეპარატების დამზადებისას;

d) ყოველი ნივთიერების შესახებ, გარდა I სიაში შეტანილი ნივთიერებებისა ნივთიერების იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც გამოყენებული იყო საწარმოო მიზნებისათვის მე - 4 მუხლის b – ქვეპუნქტის შესატყვისად;

აღნიშნული პუნქტის a და b ქვეპუნქტებში მოხსენებული ნივთიერებების რაოდენობაში არ შეაქვთ ამ ნივთიერებათაგან დამზადებული პრეპარატების რაოდენობა.

5. კომიტეტის თხოვნით მხარე წარმოადგენს დამატებით სტატისტიკურ ინფორმაციას მომავალი პერიოდებისათვის, III და IV სიებში შეტანილი და თითოეულ ქვეყანაში ან რაიონში ექსპორტირებული, ან თითოეული ქვეყნიდან ან რაიონიდან იმპორტირებული ნებისმიერი ნივთიერების რაოდენობის შესახებ. მოცემულ ქვეყანას შეუძლია თხოვნით მიმართოს კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელმა განიხილოს როგორც თავისი თხოვნა ინფორმაციის შესახებ, ასევე ამ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია როგორც კონფიდენციალური.

6. მხარეები წარმოადგენენ აღნიშნული მუხლის 1 და მე - 4 პუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას ისეთნაირად და ისეთ ვადებში, როგორც ამას მოითხოვს კომისია ან კომიტეტი.

## **მუხლი 17**

### **კომისიის ფუნქციები**

1. კომისიას შეუძლია განიხილოს აღნიშნული კონვენციის მიზნების მიღწევასთან და მისი დებულების ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და გასცეს რეკომენდაციები.

2. კომისიის მე -2 და მე -3 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღება ხდება კომისიის წევრთა ორი მესამედი ხმების უმრავლესობით.

## **მუხლი 18**

### **კომიტეტის მოხსენებები**

1. კომიტეტი ამზადებს ყოველწლიურ მოხსენებებს თავისი მუშაობის შესახებ, რომლებიც შეიცავენ მის განკარგულებაში არსებული ინფორმაციის ანალიზს და სათანადო შემთხვევაში მთავრობის მიერ წარმოდგენილ, ან მათგან მოთხოვნილ ახსნა-განმარტებათა ნუსხას, თანდართული ნებისმიერი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით, რომელთა გაცემასაც კომიტეტი მოისურვებს. კომიტეტს შეუძლია მოამზადოს ისეთი დამატებითი მოხსენებები, რომელთაც იგი საჭიროდ ჩათვლის. ეს მოხსენებები გადაეცემა საბჭოს კომისიის მეშვეობით და ისეთი შენიშვნებით, რომლებსაც ეს უკანასკნელი მიზანშეწონილად ჩათვლის.

2. კომიტეტის მოხსენებები ეგზავნებათ მხარეებს, შემდეგ კი იბეჭდება გენერალური მდივნის მიერ. მხარეები ნებას რთავენ ამ მოხსენებების შეუზღუდავ გავრცელებას.

## **მუხლი 19**

### **ზომები რომელთაც იღებს კომიტეტი კონვენციის დებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად**

1. a) თუ კომიტეტისადმი მთავრობების მიერ წარმოდგენილი, ან გაერო-ს მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად, კომიტეტს საფუძველი ექმნება ჩათვალოს, რომ აღნიშნული კონვენციის მიზნების მიღწევას ემუქრება სერიოზული საფრთხე იმის გამო, რომ რომელიმე ქვეყანა ან რაიონი არ ასრულებენ აღნიშნული კონვენციის დებულებებს, კომიტეტს უფლება აქვს ახსნა-განმარტებისათვის მიმართოს ამ ქვეყნის ან რაიონის მთავრობებს. კომიტეტი იტოვებს რა უფლებას მიაპყროს მხარეების, საბჭოსა და კომისიის ყურადღება აღნიშნული პუნქტის c ქვეპუნქტში აღნიშნულ საკითხს, განიხილავს თავის მოთხოვნას, მთავრობამ წარმოადგინოს ინფორმაცია ან ახსნა-განმარტება, როგორც კონფიდენციალურს მოცემული ქვეპუნქტის შესაბამისად

b) იღებს რა ზომებს აღნიშნული მუხლის a) ქვეპუნქტის შესაბამისად კომიტეტს, თუ იგი ამის აუცილებლობაში დარწმუნდება, შეუძლია მოსთხოვოს შესაბამის მთავრობას მიიღოს ისეთი საკორექციო ზომები, როლებიც შექმნილ ვითარებაში მას აუცილებლად ესახება აღნიშნულ კონვენციის დებულებათა განხორციელებისათვის.

c) თუ კომიტეტი თვლის, რომ შესაბამისმა მთავრობამ არ მისცა დამაკმაყოფილებელი ახსნა განმარტება აღნიშნული მუხლის a ქვეპუნქტის თანახმად გაკეთებულ მოთხოვნაზე, ან არ მიიღო რაიმე საკორექციო ზომები, რომლებიც მას შესთავაზეს აღნიშნული მუხლის b ქვეპუნქტის თანახმად, მას შეუძლია მხარეთა, საბჭოსა და კომისიის ყურადღება მიაპყროს ამ საკითხს.

2. კომიტეტს, მიაპყრობს რა მხარეთა საბჭოსა და კომისიის ყურადღებას რომელიმე საკითხს, ამ მუხლის 1 პუნქტის c ქვეპუნქტის თანახმად, შეუძლია თუ იგი ამას აუცილებლად ჩათვლის – რეკომენდაცია გაუწიოს მხარეებს შეწყვიტონ გარკვეული ფსიქოტროპიული ნივთიერების ექსპორტი, იმპორტი ან ექსპორტიცა და იმპორტიც შესაბამისი ქვეყნიდან ან შესაბამისი რაიონიდან, ან შესაბამის ქვეყანაში ან შესაბამის რაიონში რაიმე გარკვეული ვადით, ან მანამდე ვიდრე კომიტეტი არ დარწმუნდება, რომ ვითარება აღნიშნულ ქვეყანაში ან რაიონში დამაკმაყოფილებელია, შესაბამის ქვეყანას შეუძლია დასვას ეს საკითხი საბჭოს წინაშე.

3. კომიტეტს უფლება აქვს გამოაქვეყნოს მოხსენება ნებისმიერი საკითხის ირგვლივ, რომელიც განიხილებოდა ამ მუხლის დებულებების თანახმად და გაუგზავნოს ეს მოხსენება საბჭოს, რომელიც თავის მხრივ უგზავნის მას მხარეებს. თუ კომიტეტი გამოსაქვეყნებელ მოხსენებაში რთავს ამ მუხლის თანახმად მიღებულ გადაწყვეტილებას ან ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ რაიმე ინფორმაციას, მან ამავე მოხსენებაში უნდა ჩართოს შესაბამისი მთავრობის აზრი, თუ ეს უკანასკნელი ამას მოითხოვს.

4. თუ რომელიმე გადაწყვეტილება, რომელიც გამოქვეყნებულია ამ მუხლის თანახმად, არ იყო ერთხმად მიღებული, წარმოდგენილი უნდა იყოს უმცირესობის აზრიც.

5. ნებისმიერ სახელმწიფოს ეძლევა წინადადება გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი კომიტეტის სხდომაზე, სადაც ამ მუხლის შესაბამისად განიხილება ამ სახელმწიფოსთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხი.

6. ამ მუხლის შესაბამისად, კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის წევრთა ორი მესამედის ხმათა უმრავლესობით.

7. ზემოთმოყვანილი პუნქტების დებულებები მიიღება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც კომიტეტს საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ მოცემული კონვენციის მიზნების მიღწევას ემუქრება სერიოზული საფრთხე ამა თუ იმ მხარის მიერ მე -2 მუხლის მე -7 პუნქტის თანახმად მიღებული რაიმე გადაწყვეტილების გამო.

## **ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო ზომები**

1. მხარეები ღებულობენ ყველა შესაძლო ზომას რომელიც მიმართულია ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების თავიანთ აცილების, მისი ადრეული გამოვლენის, მკურნალობის, აღზრდის, შრომის უნაპრის აღდგენის, შესაბამისი პირობების საზოგადოებაში დაბრუნებისა და მკურნალობის დამთავრების შემდეგ მათი დაკვირვებისაკენ. გარდა ამისა მხარეები ცდილობენ ამ მიზნების ცხოვრებაში გატარებისათვის აუცილებელი ძალისხმევითა კოორდინირებას.

2. მხარეები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელს უწყობენ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ბოროტად მომხმარებელ პირთა მკურნალობისათვის, შრომის უნარიანობის აღდგენისათვის, მათ საზოგადოებაში დაბრუნებასა და მკურნალობის შემდგომ დაკვირვებისათვის საჭირო კადრების მომზადებას.

3. მხარეები ხელს უწყობენ პირებს, რომელთა ეს ესაჭიროებათ სამსახურებრივი მოვალეობის ასრულებისათვის. გაეცნონ ფსიქოტროპულ ნივთიერებების ბოროტად გამოყენებასა და მის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აგრეთვე ხელს უწყობენ მოსახლეობის გარკვევას ამ პრობლემებში, თუ არის საფრთხე, რომ ამ ნივთიერებების ბოროტად გამოყენება ფართო მასშტაბებს მიიღებს.

### **მუხლი 21**

#### **უკანონო ბრუნვის საწინააღმდეგო ღონისძიებები**

მხარეები, ანგარიშს უწევენ რა თავის კონსტიტუციურ, სამართალდამცავ და ადმინისტრაციულ სისტემებს:

a) იღებენ შიდა სახელმწიფოებრივ ზომებს უკანონო ბრუნვის საწინააღმდეგო პრევენტული და რეპრესიული ღონისძიებების კოორდინირებისათვის; ამ მიზნით მათ შეუძლიათ, საქმის სასარგებლოდ, დანიშნონ შესაბამისი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ასეთი კოორდინირებისათვის.

b) ეხმარებიან ერთმანეთს ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ კამპანიის გატარებაში და, კერძოდ, დაუყოვნებლივ უგზავნიან ამ მიზნით მხარეების მიერ დანიშნული დიპლომატიური არხების, ან კომპეტენტური ორგანოების საშუალებით, სხვა უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებს ნებისმიერი შეტყობინების ასლს, რომელსაც ისინი აწვდიან გენერალურ მდივანს მე –16 მუხლის შესაბამისად, უკანონო ბრუნვის შემთხვევის აღმოჩენისას.

c) მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და აგრეთვე იმ კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა წევრებიც არიან,

შეთანხმებული კამპანიის გატარების მიზნით, უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საქმეში;

d) უზრუნველყოფენ სათანადო ორგანოთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობის ოპერატიულ გატარებას;

e) უზრუნველყოფენ სასამართლო დევნისათვის აუცილებელ იურიდიული დოკუმენტების საერთაშორისო წესით ოპერატიულ გადაცემას მხარეების მიერ ამ მიზნით დანიშნული ორგანოებისათვის. ეს დებულება ზიანს არ აყენებს თითოეული მხარის უფლებას მოითხოვოს, რომ იურიდიული დოკუმენტები მას დიპლომატიური არხებით გადაეგზავნოს.

## **მუხლი 22** **დებულებები სასჯელის შესახებ**

1. a) საკუთარი კონსტიტუციური შეზღუდვების დაცვით, თითოეული მხარე დასჯად სამართალდარღვევად, თუ იგი ჩადენილია წინასწარგანზრახვით, განიხილავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება მოცემული კონვენციით განპირობებული ვალდებულებების განსახორციელებლად მიღებულ რომელიმე კანონს ან დადგენილებას და უზრუნველყოფს, რომ სერიოზულ სამართალდარღვევა შესაბამისად ისჯებოდეს, კერძოდ პატიმრობით ან სხვა სახის თავისუფლების აღკვეთით.

b) ამ მუხლის წინა ქვეპუნქტის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, იმ შემთხვევაში როდესაც ფსიქოტროპიული ნივთიერებების ბოროტად მომხმარებელი პირები სჩადიან ასეთ სამართალდარღვევას, მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, როგორც მსჯავრდების და სასჯელის შემცველი, ან როგორც დამატებითი სასჯელი, მე -2 მუხლის 1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომები, რომელიც მიმართულია ასეთი პირების მკურნალობის, აღზრდის, შრომისუნარიანობის აღდგენისა და საზოგადოებაში დაბრუნებისაკენ.

2. ამა თუ იმ მხარის კონსტიტუციური შეზღუდვის, მისი სამართალდამცავი სისტემისა და შიდა სამართლის დაცვით:

a) i) თუ ურთიერთდაკავშირებულ ქმედებათა რიგი, რომელიც პუნქტ 1 თანახმად შეადგენს სამართალდარღვევას, ჩადენილია სხვადასხვა ქვეყნებში, ამ ქმედებათაგან თითოეული განიხილება როგორც ცალკეული სამართალდარღვევა;

ii) ნებისმიერ ასეთ სამართალდარღვევის ჩადენაში განზრახ მონაწილეობა, ბოროტგანზრახული შეთანხმება, ან ჩადენის მცდელობა, აგრეთვე ამ მუხლში მოხსენებული სამართალდარღვევასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები და ფინანსური პროპორციები, 1 პუნქტის თანახმად წარმოადგენს დასჯად სამართალდარღვევას;

iii) რეციდივიზმის დადგენის მიზნით აღირიცხება ასეთი სამართალდარღვევებისათვის უცხო ქვეყანათა სასამართლოების მიერ



გამოტანილი განაჩენები; და

IV) ზემოხსენებული სერიოზული სამართალდარღვევები ჩადენილი მოცემული ქვეყნის მოქალაქეების, ან უცხოელების მიერ, იდევენა იმ მხარის მიერ, რომლის ტერიტორიაზეცაა ჩადენილი სამართალდარღვევა, ან იმ მხარის მიერ რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა სამართალდამრღვევი, თუ მისი გადაცემა დაუშვებელია იმ მხარის კანონების შესაბამისად, რომელსაც ასეთი თხოვნით მიმართეს და თუ ეს სამართალდამრღვევი ჯერ არ დაქვემდებარებია სასამართლო დევნას და მისი საქმის გამო განაჩენი გამოტანილი არ არის.

ი) სასურველია, რომ 1 პუნქტში და მე -2 პუნქტის a ii ქვეპუნქტში მითითებული სამართალდარღვევები ჩაითვალოს ბოროტმოქმედებად, რომლის ჩამდენიც გადაცემას ექვემდებარება, გაცემის ნებისმიერი ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დადებულია ან შეიძლება მომავალში დაიდოს მხარეებს შორის, და აღიარებული იყოს ნებისმიერი მხარეების მიერ, რომლებიც არ განაპირობებენ გაცემას ხელშეკრულების არსებობით ან ურთიერთვალდებულებებით, როგორც დანაშაული, რომლის ჩამდენიც გადაცემას ექვემდებარება იმ პირობით, რომ ეს დაშვებულია იმ მხარის კანონმდებლობით, რომელსაც მიმართავენ გაცემის თხოვნით, და რომ მოცემულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას დაპატიმრებაზე ან ნება დართოს გადაცემაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მისი კომპეტენტური ორგანოები თვლიან, რომ მოცემული სამართალდარღვევა არ არის საკმარისად სერიოზული.

2. ნებისმიერი ფსიქოტროპული ან სხვა ნივთიერება, აგრეთვე აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება ან გათვალისწინებულია გამოყენებისათვის, ამ მუხლს 1 და 2 პუნქტებში მითითებული ნებისმიერი სამართალდარღვევის ჩასადენად, ექვემდებარება ამოღებასა და კონფისკაციას.

4. იურისდიქციის საკითხებში შესაბამისი მხარის შიდა სამართლის დებულებებს უპირატესი ძალა გააჩნიათ მოცემული მუხლის დებულებებთან.

5. მოცემულ მუხლში შემავალი არც ერთი დებულება არ ხელყოფს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ამ მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევები განისაზღვრება, იდევენა ან ისჯება ამა თუ იმ მხარის შიდა სამართლის შესატყვისად.

### **მუხლი 23**

#### **კონტროლის უფრო მკაცრი ზომების გამოყენება, ვიდრე გათვალისწინებულია მოცემული კონვენციით**

მხარეს შეუძლია მიიღოს კონტროლის უფრო მკაცრი და მძიმე ზომები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მოცემული კონვენციით, თუ მხარის აზრით, ასეთი ზომები სასურველია ან აუცილებელია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობისათვის.

## მუხლი 24

### საერთაშორისო ორგანოების მოცემული კონვენციის დებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები

კომისიისა და კომიტეტის ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული კონვენციით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებასთან, გაიღებს გაერო გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესით. მხარეები, რომლებიც არ წარმოადგენენ გაერო-ს წევრებს, ამ ხარჯების დასაფარავად გამოყოფენ ისეთ თანხებს, როგორსაც გენერალური ასამბლეა მიზანშეწონილად ჩათვლის და რომელთაც იგი პერიოდულად განსაზღვრავს ამ მხარეთა მთავრობებთან კონსულტაციის შედეგად.

## მუხლი 25

### დაშვების, ხელმოწერის, რატიფიკაციისა და შემოერთების პროცედურა

1. გაერო-ს წევრი სახელმწიფოები, სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან გაერო-ს წევრები, მაგრამ წარმოადგენენ გაერო-ს რომელიმე სპეციალიზირებული დაწესებულების ან ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წევრებს, ან საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილეებს, ან საბჭოს მიერ მიწვეული ნებისმიერი სხვა სახელი შეიძლება გახდეს აღნიშნული კონვენციის მხარე.

- a) მისი ხელმოწერის საშუალებით; ან
- b) რატიფიკაციის საშუალებით, მისი რატიფიკაციის პირობით ხელმოწერის შემდეგ; ან
- c) მისადმი მიერთების საშუალებით.

2. კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად 1972 წლის 1 იანვრის ჩათვლით. ამ თარიღის შემდეგ იგი ღია იქნება მისადმი მიერთებისათვის.

3. რატიფიკაციის ან მიერთების აქტები შესაძლებელია გადაეცემა გენერალურ მდივანს.

## მუხლი 26

### ძალაში შესვლა

1. კონვენცია ძალაში შედის მას შემდეგ, რაც 25-ე მუხლის 1 პუნქტში მითითებული ორმოცი სახელმწიფო მოაწერს მას ხელს რატიფიკაციაზე გამოპირობების გარეშე ან შესაძლებელია გადასცემენ თავის სარატიფიკაციო სიგელებს ან აქტებს მიერთების შესახებ.

2. სხვა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც ხელს აწერს მოცემულ კონვენციას რატიფიკაციაზე გამოპირობების გარეშე ან შესაძლებელია აბარებს სარატიფიკაციო სიგელს ან მიერთების აქტს, უკანასკნელი ხელმოწერის ან შესაძლებელია უკანასკნელი ჩაბარების შემდეგ კონვენცია ძალაში

შედის 90-ე დღეს ხელმოწერის ან სარატიფიკაციო, ან მიერთების აქტების შესანახად ჩაბარების შემდეგ.

## **მუხლი 27** **ტერიტორიალური გამოყენება**

მოცემული კონვენცია შეეფარდება ყველა ტერიტორიებს მეტროპოლიების გარეთ, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელია რომელიმე მხარე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ტერიტორიის წინასწარ თანხმობას მოითხოვს მოცემული მხარის ან დაინტერესებული ტერიტორიის კონსტიტუცია, ან ამას მოითხოვს ადათი. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულმა მხარემ უმოკლეს ვადაში უნდა მიიღოს დაინტერესებული ტერიტორიის აუცილებელი თანხმობა და თანხმობის მიღება შეატყობინოს გენერალურ მდივანს მოცემული კონვენცია შეეფარდება ასეთ ტერიტორიას ან ტერიტორიებს გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული უწყების მიღების დღიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც მეტროპოლიების გარეთ მდებარე ტერიტორიის წინასწარი თანხმობა საჭირო არ არის, დაინტერესებული მხარე ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს მიუთითებს მეტროპოლიის გარეთ მდებარე ტერიტორიას, ან ტერიტორიებს, რომელთაც შეეფარდება მოცემული კონვენცია.

## **მუხლი 28** **რაიონები კონვენციის მიზნებისათვის**

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია გენერალურ მდივანს აუწყოს, რომ მოცემული კონვენციის მიზნებისათვის მისი ტერიტორია გაყოფილია ორ ან რამოდენიმე რაიონად, ან ორი ან რამოდენიმე რაიონი გაერთიანებულია.

2. ორ ან რამოდენიმე მხარეს შეუძლია აუწყონ გენერალურ მდივანს, რომ მათ შორის საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად, ეს მხარეები მოცემული კონვენციის მიზნებისათვის წარმოადგენენ ერთ რაიონს.

3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც შედგენილია ამ მუხლის 1 და 2 პუნქტების თანახმად, ძალაში შედის მისი წარმოდგენის წლის მომდევნო წლის 1 იანვრიდან.

## **მუხლი 29** **დენონსაცია**

1. მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის 2 წლის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს შეუძლია თავისი სახელით, ან ტერიტორიების სახელით, რომელთა მიმართ მას საერთაშორისო პასუხისმგებლობა აკისრია, და რომელმაც უკან წაიღო 27-ე მუხლის შესაბამისად მიცემული თანხმობა, მოახდინოს მოცემული

კონვენციის დენონსირება წერილობითი აქტით, რომელიც შესაძლებელია ბარდება გენერალურ მდივანს.

2. დენონსაცია, თუ ცნობა მის შესახებ გენერალურმა მდივანმა მიიღო ნებისმიერი წლის 1 ივლისს ან მანამდე, ძალაში შედის შემდეგი წლის 1 იანვარს, ხოლო თუ ასეთი შეტყობინება მიღებულია 1 ივლისის შემდეგ, მაშინ დენონსაცია ძალაში შედის თითქმის მიღებული იყოს მომდევნო წლის 1 ივლისს ან უფრო ადრე.

3. მოცემული კონვენციის მოქმედება წყდება, თუ 1 და 2-ე პუნქტის თანახმად განხორციელებული დენონსაციების შედეგად 26-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მისი ძალაში შესვლისათვის პირობები აღარ არსებობს.

### **მუხლი 30 შესწორებები**

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია შემოიტანოს წინადადება მოცემულ კონვენციაში შესწორების შეტანის შესახებ. ნებისმიერი ასეთი შესწორების ტექსტი და მისი საფუძველი ეგზავნება გენერალურ მდივანს, რომელიც მის შესახებ ატყობინებს მხარეებს და საბჭოს.

საბჭომ შეიძლება დაადგინოს, რომ:

a) შემოთავაზებული შესწორების განსახილველად გაერო-ს წესდების 62-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მოწვეულ უნდა იქნეს კონფერენცია, ან

b) საჭიროა მხარეების გამოკითხვა, იღებენ თუ არა ისინი შემოთავაზებულ შესწორებას და აგრეთვე სთხოვენ მათ წარმოადგინონ საბჭოს ნებისმიერი შენიშვნები ამ წინადადებასთან დაკავშირებით.

2. თუ შემოთავაზებული შესწორება, რომელიც გაიგზავნა ამ მუხლის 1 პუნქტის b-ქვეპუნქტის საფუძველზე, არ იყო აუცილებელი რომელიმე მხარის მიერ 18 თვის განმავლობაში მისი გაგზავნის დღიდან, ამის შემდეგ იგი ძალაში შედის, თუ შემოთავაზებულ შესწორებას რომელიმე მხარე აიცილებს, საბჭოს შეუძლია მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების კრილში მიიღოს გადაწყვეტილება, მიზანშეწონილია თუ არა ამ შესწორების განსახილველად კონფერენციის მოწვევა.

### **მუხლი 31 დავა**

1. თუ მოცემული კონვენციის გაგების ან გამოყენების გამო ორ ან რამდენიმე მხარეს შორის წარმოიშვება დავა, ეს მხარეები ატარებენ კონსულტაციებს დავის გადასაწყვეტად მოლაპარაკების, გამოძიების, შუამდგომლობის, არბიტრაჟის, რეგიონალური ორგანოებისადმი მიმართვის, სასამართლო განხილვის გზით ანდა მათი სურვილისამებრ სხვა მშვიდობიანი საშუალებით.

2. ასეთი სახის ნებისმიერი დავა, რომელიც არ შეიძლება გაირკვეს 1 პუნქტში მოყვანილი ხერხით, ნებისმიერი მოდავე მხარის თხოვნით გადასაჭრელად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს.

### **მუხლი 32** **გამოპირობება**

1. დასაშვებია მხოლოდ ის გამოპირობება, რომელიც გაკეთებულია ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით.

2. ხელმოწერის, რატიფიკაციისა და შემოერთების დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გამოპირობება მოცემული კონვენციის შემდეგი დებულებების მიმართ:

- a) მე-19 მუხლის 1 და მე-2 პუნქტები;
- b) 27-ე მუხლი; და
- c) 31-ე მუხლი

3. სახელმწიფოს, რომელსაც სურს გახდეს მხარე, მაგრამ ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში გათვალისწინებულისაგან განსხვავებული გამოპირობების უფლებით, შეუძლიათ ასეთი განზრახვის შესახებ შეატყობინოს გენერალურ მდივანს. თუ შესაბამისი გამოპირობების შესახებ გენერალური მდივნის მიერ გაკეთებული შეტყობინებიდან 12 თვის გასვლის შემდეგი აღნიშნული გამოპირობება არ იქნება აუცილებელი იმ სახელმწიფოთა ერთი მესამედის მიერ, რომელთაც ხელი მოაწერეს მოცემულ კონვენციას რატიფიცირებაზე გამოპირობების გარეშე, მოახდინეს მისი რატიფიცირება ან შემოუერთდნენ მას აღნიშნული პერიოდის ბოლომდე, იგი დაშვებულად ითვლება იმ პირობით, რომ სახელმწიფოები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ გამოპირობებას, არ არიან ვალდებული გამოპირობების შემომტანი სახელმწიფოს მიმართ აიღონ რაიმე იურიდიული ვალდებულებები მოცემული კონვენციის საფუძველზე იმ ნაწილში, რომელსაც ეხება აღნიშნული გამოპირობება.

4. სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც იზრდება I სიაში შეტანილი ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი ველური მცენარეები და რომლებსაც ტრადიციისამებრ იყენებენ მოსახლეობის ზოგიერთი მცირერიცხოვანი, მკაფიოდ განსაზღვრული ჯგუფები მაგიური ან რელიგიურ რიტუალებში, შეიძლება კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების ან მასთან შემოერთების დროს გამოაპირობოს ეს მცენარეები მოცემული კონვენციის მე-7 მუხლის დებულებებისაგან, გარდა დებულებისა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ.

### **მუხლი 33** **შეტყობინება**

გენერალური მდივანი 25-ე მუხლის 1 პუნქტში ნახსენებ სახელმწიფოებს ატყობინებს:

- a) ხელის მოწერის, რატიფიცირებისა და შემოერთების შესახებ 25-ე მუხლის შესაბამისად;
- b) მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ 26-ე მუხლის შესაბამისად;
- c) დენონსირების შესახებ 29-ე მუხლის შესაბამისად; და
- d) განცხადებებისა და შეტყობინებების შესახებ 27-ე, 28-ე, 30-ე და 32-ე მუხლების თანახმად.

რის დასამოწმებლადაც ქვემოთ ხელის მომწერნი, შესაბამისად უფლებამოსილნი, ხელს აწერენ მოცემულ კონვენციას თავისი მთავრობების სახელით.

შესრულებულია ვენაში, 1971 წლის 21 თებერვალს ერთ ეგზემპლარად, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული თარგმანები თანაბრად აუთენტიკურებია.

მოცემული კონვენცია შესანახად ჩაბარდება გაერო-ს გენერალურ მდივანს, რომელიც მოცემული კონვენციის შემოწმებულ ასლებს უგზავნის გაერო-ს ყველა წევრს და სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც ნახსენებია 25-ე მუხლის 1 პუნქტში.

**გაერო-ს კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციების ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ ოქმის მისაღებად**

## **რეზოლუცია I**

**ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა თაობაზე კონვენციის დროებითი გამოყენება, მის ძალაში შესვლამდე**

### **კონფერენცია**

1. სთავაზობს სახელმწიფოებს – მათთვის შესაძლო ხარისხში – დროებით გამოიყენონ კონტროლის ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციაში ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა თაობაზე, მის ძალაში შესვლამდე თითოეული მათგანისათვის.

2. სთხოვს გენერალურ მდივანს გადასცეს ეს რეზოლუცია ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს, გენერალურ ასამბლეას და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აღნიშნულ რეზოლუციაში შემოთავაზებულის დასადასტურებლად.

## **რეზოლუცია II**

**გამოკვლევები ამფეტამინების დარგში**

## კონფერენცია

ითვალისწინებს რა, რომ ამფეტამინებს გააჩნიათ განსაკუთრებული უნარი გამოიწვიონ მათი ბოროტად გამოყენება და გახდნენ უკანონო ბრუნვის საგანი.

ითვალისწინებს რა, რომ თუმცა ამ ნივთიერებების სარგებლობა თერაპიულ პრაქტიკაში დადასტურებულია, იგი შეზღუდულია

1. სთხოვს ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეას ხელი შეუწყოს ამფეტამინების შემცვლელ ნაკლებად სახიფათო ნივთიერებათა კვლევას და დააფინანსოს ასეთი გამოკვლევები არსებულ საშუალებათა ფარგლებში;

2. რეკომენდაციას აძლევს მთავრობებს, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ბაზა ამისათვის, მიიღონ ანალოგიური ზომები.

## რეზოლუცია III

### მადლიერების გამოხატვა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური მთავრობისადმი

## კონფერენცია

მოწვეული ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1970 წლის 24 მარტის 1474 (XLVIII) რეზოლუციის აღსასრულებლად.

მიმდინარეობდა ვენაში 1971 წლის 11 იანვრიდან 21 თებერვლამდე ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით

გამოხატავს თავის ღრმა მადლიერებას ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობისადმი, კონფერენციისათვის შექმნილი პირობებისა და მისდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის, რამაც არსებითად განაპირობა მისი წარმატებითი მუშაობა.

16. კამათის შედეგად, რაც აირეკლა პლენარული სხდომების მოკლე ანგარიშებში და გენერალური კომიტეტისა და კონტროლის ღონისძიებათა კომიტეტის სხდომათა ოქმებში, აგრეთვე ყველა კომიტეტის მოხსენებებში, კონფერენციამ მიიღო და გახსნა ხელმოსაწერად 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ. გარდა ამისა კონფერენციამ მიიღო სამი რეზოლუცია, რომლებიც თან ერთვის აღნიშნულ დასკვნით აქტს.

შესრულებულია ვენაში 1971 წლის 21 თებერვლის ერთ ეგზემპლარად, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად აუთენტურები არიან. ტექსტების დედანი ჩაბარდება გაერო-ს გენერალურ მდივანს შესანახად.

რის დასადასტურებლადაც წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წარმოდგენილ დასკვნით აქტს.